

ოქმი N5

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2017 წელი, 13 თებერვალი

ქ. ოზურგეთი, 12⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე: გ.კობალაძე.

თავმჯდომარის მოადგილე: ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ი.საჯაია, ნ.ტაბატაძე, ლ.ბიგვავა,
მ.მახაროზლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: თ.ნადირიძე, კ.კვაჭაძე, ნ.ორაგველიძე,

საკრებულოს წევრები: ნ.შარაშანიძე, ვ. ჩიგოგიძე, ლ.მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი ლ. ჭელიძე, საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, არასამთავრობოებისა და მედიის წარმომადგენლები.

არ ესწრებოდნენ: ლ.თოიძე, გ.ძიმისტარიშვილი, თ.სალუქვაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (აღნაგობის უფლებით) გაცემის თაობაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა მერისათვის თანხმობის მიცემა.

აზრი გამოთქვას: ლ. მგელაძე - საჯარო რეესტრის ამონაწერში წერია

იპოთეკა, იჯარა ეტყობა საგადასახადო ინსპექციას არ

დაუმთავრებია ბაზრის პროცესი. დავალიანება რომ

დაეწერება ფართს- რას ვიზამთ? ბაზარში დიდი

ცვლილება არაფერი არ მომხდარა, ყველაფერი ისევ ისეა

- ხიდზე ვაჭრობაც დარჩა. მხოლოდ მშენებლობები მიმდინარეობს.

მ. წივწივაძე - დავალიანება დაეწერება ქონების პატრონს ანუ მერიას.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება

დამტკიცდა 9 ხმით

წინააღმდეგი: თ. ნადირიძე, ნ. შარაშენიძე, ლ.მგელაძე.

განკარგულება თან ერთვის

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

მომხსენებელმა ლ. ბიგვავამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო კომისიის დასკვნა (დასკვნა თან ერთვის) აღნიშნა, რომ საკითხზე მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, შენიშვნები და რეკომენდაციები არ შემოსულა, მე რეკომენდაციის სახით ვამბობ, რომ მომავალ წელს ეს კოეფიციენტი უთუოდ უნდა გაიზარდოს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიხედვით.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება

დამტკიცდა 11 ხმით

წინააღმდეგი: თ. ნადირიძე.

დადგენილება თან ერთვის

3. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

მომხსენებელმა ლ. ბიგვავამ წარმოადგინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა (დასკვნა თან ერთვის). აღნიშნა, რომ ამ საკითხზეც მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, თუმცა არც ერთი შენიშვნა არ შემოსულა. კომისიამ იმსჯელა და დაასკვნა გადასახადები იყოს მინიმალური.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება

დამტკიცდა 9 ხმით

წინააღმდეგი: თ. ნადირიძე, ნ. შარაშენიძე, ლ.მგელაძე.

დადგენილება თან ერთვის

4. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

აზრი გამოთქვეს: გ. კობალაძე - საკითხებზე, რომლებზედაც ვიწყებთ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას, შენიშვნები და რეკომენდაციები წარმოდგენილ იქნას 23 თებერვლამდე.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის**

5. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის**

6. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის**

7. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება

დამტკიცდა ერთხმად

განკარგულება თან ერთვის

სხდომის თავმჯდომარემ გელა კობალაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გელა კობალაძე

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა